ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 376

ქალაქი ქუთაისი 30 ივლისი 2025 წელი

ევროკავშირისგან გრანტის მიღების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის
მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის
შ ე ს ა ხ ე ბ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ „შავი ზღვის რეგიონში რეგიონალური მონაწილეობით ჩართულობა ახალგაზრდებზე ორიენტირებული ტრანსფორმაციული და ჰოლისტიკური მიდგომის მეშვეობით“ ევროკავშირის პროექტის („YOUTH-SEA“) ფარგლებში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილია გრანტი 65 520 ევროს ოდენობით, ამავე პროექტის ფარგლებში ქუთაისის მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობა შეადგენს 7280 ევროს (სულ: 72800 ევრო).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების საფუძველზე:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, მიიღოს ევროკავშირისგან 65520 (სამოცდახუთი ათას ხუთას ოცი) ევროს ოდენობის გრანტი და გააფორმოს საგრანტო ხელშეკრულება.

მუხლის 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე — ირაკლი შენგელია

საქართველო ქ. ქუთაისის
ს ა ქ რ ე ბ უ ლ ო
31 გას. № 217
31 07 2025 წ.